MES 3 23 0000424751

18/04/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2023 წლის **31 მარტს** 14:00 საათზე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე -პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ -ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- თამარ რემიშვილი
- ნიკა ჯიაძე
- ია გელენიძე
- თეა ლილუაშვილი
- ნანა ხითარიშვილი
- გიორგი ნაჭყეპია
- მანანა მახარაშვილი
- ქეთევან ღვანიძე
- თათია გივიშვილი
- ნინო ხაჩიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს „სიო“
დირექტორი - გიორგი სიორდია
დამფუძნებელი - ციცინო ნემსიწვერიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - სალომე სიორდია

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
დირექტორი - მამია ჯანჯალია
დირექტორის მოადგილე - თამარ შალვაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო ქიტიაშვილი
იურისტი - ნინო ხუხუნეიშვილი

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“
კოლეჯის დირექტორი - ნინო ბაკურაძე
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - ეკატერინე ფოჩხუა

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - მ ადონა მიქელაძე
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ხელმძღვანელი - თამარ მხატვარი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს სიოს ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯ “ფაზისისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ნოჯიხევში „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ბათუმში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ბათუმში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: შპს სიოს ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ რემიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება შპს „სიოში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ვიზიტის პირველსავე დღეს კოლეჯის დირექტორის N1-03 ბრძანებით კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი განისაზღვრა ექსპერტებთან საკონტაქტო პირად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, პრაქტიკის ობიექტების, სასწავლო გარემოს, ადაპტირებული გარემოს და სველი წერტილების დათვალიერება. ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, მარეგულირებელი დოკუმენტაციის დიდი უმრავლესობა დამტკიცებულია 2022 წლის დასაწყისში. ექსპერტები ვიზიტის დროს გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის კოლეჯის დირექტორს, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ პირებს, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე, პერსონალის მართვაზე და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ პირებს.

შპს „სიოს“ (შემდგომში კოლეჯი) 6 წლით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 28.04.2017 N08 გადაწყვეტილებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 30.07.2019 N11 სხდომის ოქმით შევიდა ცვლილება გადაწყვეტილებაში, რომლის საფუძველზე დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს „საექთნო საქმის“ მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 28.07.2020 N641238 სხდომის ოქმის საფუძველზე

„საქართნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 120-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 17 ივლისი. ვიზიტის დროს კოლეჯში სწავლობდა 120 პროფესიული სტუდენტი. ასევე, 2021 წელს კოლეჯს მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს „შინმოვლის სპეციალობის“ პროფესიული მომზადების პროგრამა 20 მსმენელზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა, კვირაში 30 სთ. საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა მოამზადა 2 ჯგუფი, სულ 24 მსმენელი. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მესამე ჯგუფის -14 მსმენელის მომზადება. სწავლა პროგრამაზე დასრულდება მიმდინარე წლის 9 თებერვალს.

ვიზიტი განხორციელდა ქ. ქუთაისში 2023 წლის 24, 25 და 26 იანვარს, მისამართზე-ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ.N72 დ. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო კოლეჯს ვიზიტის შედეგები. ექსპერტებთან გასაუბრებისას კოლეჯმა გამოთქვა მზაობა იმის შესახებ, რომ შეიმუშაოს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ. ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ ატმოსფეროში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. (იხილეთ დანართი 1 - ვიზიტის განრიგი). დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კოლეჯმა წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რომელშიც აღწერა, თუ როგორ გეგმავს დაწესებულება ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებული (ავტორიზაციის I, II და V სტანდარტებთან) შეუსაბამობის აღმოფხვრას.

შესაბამისობის რეკომენდაციები

1.2.2.1. - ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი არ ახდენს სტრატეგიული გეგმის შეფასებას სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შესრულებული და ვიზიტის დროს წარმოდგენილი 3 ანგარიშიდან, 2 ანგარიში 2020-21 და 2021-22 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშებია, ხოლო 1ანგარიში - 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვიანი ანგარიშია. ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის ერთწლიანი ანგარიშები. კოლეჯის აზრით სამოქმედო გეგმების ანგარიშები წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის 1წლიან ანგარიშებს, რასაც ექსპერტები არ ეთანხმებიან. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან. ვიზიტის დროს ექსპერტებს უნდა შეეფასებინათ სტრატეგიული გეგმის შესრულების მინიმუმ 2 ანგარიში და სამოქმედო გეგმების შესრულების მინიმუმ 5 ანგარიში. რეკომენდირებულია, დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯმა წელიწადში ერთხელ მოახდინოს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი, ხოლო 6 თვეში ერთხელ - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმების შესრულების მონიტორინგი ევალება დაწესებულების დირექტორს და ხარისხის მართვის სამსახურს, ხოლო კოლეჯის წესდების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ანგარიშებს ამტკიცებს დამფუძნებელი. ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისად აღრიცხული კოლეჯში. რეკომენდირებულია, კოლეჯის დირექტორის ანგარიშები დამტკიცდეს დამფუძნებლის მიერ, კოლეჯის წესდების შესაბამისად, ხოლო მათი აღრიცხვა კოლეჯში მოხდეს საქმისწარმოების წესის შესაბამისად. რეკომენდირებულია, ანგარიშის შედეგები გამოყენებულ იქნეს კოლეჯის გაუმჯობესებისთვის/მდგომარეობის შენარჩუნებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

2.2.1.1. - ვიზიტის დროს კოლეჯში სწავლობდა 120 პროფესიული სტუდენტი, კოლეჯს სურვილი აქვს კვოტა გაზარდოს 200 პროფესიულ სტუდენტამდე. მათი აზრით, პირველ და

მეორე წელს კოლეჯი შეძლებს მიიღოს 60-60 პროფესიული სტუდენტი. მეორე წელს, სწავლება განხორციელდება ორ ცვლაში, მეორე კურსელი 60 პროფესიული სტუდენტი მეორე ცვლაში გაივლის თეორიულ კურსს კოლეჯში, ხოლო მესამე წელს კოლეჯი შეძლებს მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტების შეფასებით, 1,5 წლის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები უნდა იყვნენ კოლეჯის ბაზაზე. პარალელურად კოლეჯში შესაძლებელია მუდმივად იყოს მაქსიმუმ 20 მსმენელი. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯს აქვს სულ 105 პირზე აღჭურვილი 2 AC, 1 B და 2 A გარემო, აქედან 1 AC გარემო 20 მსმენელისთვისაა გათვლილი. დარჩენილი 85 ადგილიდან - 20 B გარემოს ეკუთვნის. მაშასადამე, ერთდროულად ერთ ცვლაში შესაძლებელია 65 პროფესიული სტუდენტი განთავსდეს კოლეჯში. 2 წლის განმავლობაში ეს ციფრი ვერ გადააჭარბებს 130- ს ორ ცვლაში. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის კვოტა შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 195 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და ობიექტების დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია ერთდროულად 160 პროფესიული სტუდენტმა გაიაროს ფსიქიატრიის მოდული, ხოლო 200 პროფესიული სტუდენტი შეძლებს პრაქტიკის გავლას სხვადასხვა კლინიკაში. ასევე, 98 პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი წლიურად. ექსპერტთა შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შესაბამისი ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიიღებაა შესაძლებელი თითოეული პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად და არა ეტაპობრივად ან წლიურად. რეკომენდირებულია, მოხდეს შეთანხმება კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის იმის შესახებ, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს თითოეული პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად და არა ეტაპობრივად ან წლიურად.

5.2.2.1 საინფორმაციო რესურსები ექსპერტების შეფასებით კოლეჯში არ ხდებოდა შიდა დოკუმენტების რეგისტრაცია და აღრიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის თანამშრომელთა განცხადებების, მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და კოლეჯში გამართული სხდომის ოქმების, და ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების, როგორიცაა კოლეჯის და პროგრამის ბიუჯეტები. რეკომენდირებულია, კოლეჯში შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაცია და აღრიცხვა მოხდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

განმავითარებელი რეკომენდაციები

1.2.1.1. ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს, რომ მათ მიერ სიღრმისეულად შეფასდეს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და რისკები და საჭიროებისამებრ მოხდეს ცვლილება სტრატეგიულ გეგმაში. მაგალითად, თუ დაწესებულება თვლის რომ მისი სუსტი მხარეა არასაკმარისი პიარ-კამპანია; პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის სიმცირე - მაშინ საინტერესოა რატომ სურს მას კვოტის გაზრდა 120-დან 200 პროფესიულ სტუდენტამდე.

1.2.1.3. ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს, რომ უმოკლეს დროში მოახდინოს ჩატარებული კვლევის შედეგების გაანალიზება და შედეგის გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რისი ვალდებულება კოლეჯს აქვს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე.

3.2.1.5. ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს, მოხდეს მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების გაანალიზება, რასაც კოლეჯი საჭიროებისამებრ გაითვალისწინებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლის მიხედვით.

3.2.2.4. ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს, საკუთარი რეგულაციის შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოხდეს კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშგება კოლეჯის დირექტორთან ქმედითი ღონისძიებების გატარების მიზნით. ასევე, კვლევის შედეგები გაზიარებული უნდა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და PDCA ციკლის ხელშეწყობის მიზნით.

4.1.1.1. რეკომენდირებულია შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული პოზიციის დასახელება დებულებაში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში აღნიშნულ პოზიციის დასახელებასთან.

4.1.1.2. ექსპერტთა აზრით, უმჯობესი იქნებოდა კოლეჯის დამფუძნებელი არ ითავსებდეს პერსონალის მართვის მენეჯერის, ბიბლიოთეკარის და მასწავლებლის ფუნქციებს.

4.2.1.1. რეკომენდირებულია კოლეჯის პერსონალის მართვის მენეჯერმა იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის წესით და შესაბამისად მოახდინოს კოლეჯის პერსონალის შეფასება. მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვაში კოლეჯი ითვალისწინებდეს PDCA ციკლის თითოეულ ეტაპს, თანამშრომელთა შეფასება გამყარებული იყოს მტკიცებულებებით. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს კოლეჯის 3 წლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი. 2022-2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტში მხოლოდ 500 ლარია გამოყოფილი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. რეკომენდირებულია კოლეჯმა მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ინტენსიფიკაცია.

4.2.1.2. რეკომენდირებულია კოლეჯის პერსონალის საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე, მოხდეს პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება და განხორციელება. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ხარისხის სამსახურთან ერთად უნდა ახდენდეს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგების ანალიზს, შედეგები წარადგინოს კოლეჯის დირექტორთან და მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა ყოველწლიურად, ვინაიდან პერსონალის პროფესიული განვითარება გულისხმობს პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და უნარ-ჩვევების სისტემატურ სრულყოფას.

5.1.1.10.რეკომენდირებულია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი განთავსებული იყოს კოლეჯის ორივე ფლიგელის ფოიეში და არა ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეში, რომ არ შეფერხდეს დახმარების აღმოჩენა.

5.2.1.4. რეკომენდირებულია კოლეჯმა მოახდინოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ.

5.2.2.1 ექსპერტების შეფასებით, კოლეჯში არ ხდებოდა კოლეჯის/პროგრამის ბიუჯეტის დადგენილი წესით აღრიცხვა. წესდების შესაბამისად „დირექტორი უწევს ზედამხედველობას და კონტროლს წლიური ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას“, ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ კოლეჯის დირექტორი ხელმოწერით ითანხმებდა აღნიშნულ დოკუმენტებს, თუმცა მათი აღრიცხვა არ ხდებოდა. რეკომენდირებულია, დადგენილი წესის შესაბამისად კოლეჯში მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების აღრიცხვა, როგორიცაა კოლეჯის და პროგრამის ბიუჯეტი. ექსპერტთა შეფასებით უკეთესი იქნება მოხდეს ბიუჯეტების დამტკიცება დირექტორის მიერ, ამისათვის დაწესებულებას მოუწევს საკუთარი რეგულაციების გადახედვა და ცვლილება.

5.3.1.1. ვინაიდან კოლეჯის სურვილია სტრატეგიულ გეგმაში გამოჩნდეს ფინანსური რესურსით გეგმის უზრუნველყოფა, რეკომენდირებულია გეგმაში ჩანდეს რომელი ფინანსური რესურსით აპირებს კოლეჯი სტრატეგიული გეგმის აღნიშნული ამოცანების შესრულებას.

2.1.1.8. ექსპერტების შეფასებით პროგრამის ქართული ენის მოდულებში არ არის მითითებული ბოლო ცვლილების/გამოქვეყნების თარიღი 03.02.2021, თუმცა ისინი ძირითადად შეესაბამება 03.02.2021 დამტკიცებულ მოდულებს. ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს ყოველთვის იხელმძღვანელონ განახლებული მოდულებით.

2.2.1.3. ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს, ყველა სპეციალობის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, განსაკუთრებით ექიმების, გადამზადება მოხდეს „სიცოცხლისა ბაზისური ალგორითმის“ პროგრამის მიხედვით უსგ კრედიტების შესაბამისად.

2.3.1.2. რეკომენდირებულია კოლეჯმა დასახული მიზნების მისაღწევად მოახდინოს მიღებული უკუკავშირის შედეგების გაანალიზება და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირება, ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასება და მუდმივ გაუმჯობესება. მოხდეს გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიას და კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაგეგმვისას კოლეჯი განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს. კოლეჯი ახორციელებს საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და „შინმოვლის სპეციალობის“ მომზადების პროგრამას,შესაბამისად კოლეჯის მთელი რესურსი მიმართულია აღნიშნული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისკენ. ასევე, ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ 2022 წელს შემუშავებული დოკუმენტი „საექთნო საქმის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, რომელშიც გაანალიზებულია კოლეჯის წარსული და არსებული მდგომარეობა, ასევე აპლიკანტთა მომართვიანობის და კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (43 კურსდამთავრებულიდან 33 დასაქმებულია სპეციალობით). კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმერეთში 39 კლინიკაა, რომლებშიც ბოლო პერიოდში განვითარებული მიგრაციის პირობებში განსაკუთრებულად დიდია მოთხოვნა ექთნებზე. ქუთაისის რეგიონში ამჟამად მხოლოდ 2 კოლეჯი ახორციელებს საექთნო საქმეს, აქედან კოლეჯი სიო მაქსიმუმ 35 კურსდამთავრებულით უზრუნველყოფს ადგილობრივ შრომის ბაზარს. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ჯანდაცვის კომიტეტის წევრებთან და დამსაქმებლებთან. უკანასკნელი შეხვედრა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან მოხდა 12.11.2022. ასევე, კოლეჯი წარმატებით ახორციელებს შინმოვლის მომზადების სასერტიფიკატო პროგრამას. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა და კურსდმათავრებულთა მაჩვენებელი მაღალია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ხდებოდა თუ არა მონიტორინგის შედეგად რაიმე ცვლილების შეტანა სტრატეგიული გეგმის ანგარიშებში.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმების ანგარიში იმის შესახებ, რაც შესრულდა კოლეჯის მიერ. წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით

რეკომენდაციები არ იყო გაცემული, რადგან კოლეჯმა ჩათვალა, რომ მათი სამუშაოები მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით. აღსანიშნავია ის, რომ რეკომენდაცია უნდა გაცემულიყო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, რომელიც მუშაობდა ამ ციკლის (დემინგის ციკლის) დანერგვაში. მისი თქმით, ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის სიტუაცია და დადგინდა, რომ აღნიშნული არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან, აქედან გამომდინარე მართებულად ჩათვალეს, რომ გაეცათ რეკომენდაცია, რათა დაწესებულებამ გააუმჯობესოს სიტუაცია ამ მიმართულებით ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით 4.1.1.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როდესაც კოლეჯის დამფუძნებელი ითავსებს მრავალ ფუნქცია-მოვალეობებს, ხომ არ იყო ეს ინტერესთა კონფლიქტის მიზეზი. გარდა ამისა მის მიერ შესრულებული საათობრივი დატვირთვა ხომ არ აღემატებოდა კანონით დადგენილ 40 საათს კვირაში.

ექსპერტის განცხადებით, მათ მიერ იქნა შესწავლილი პერსონალის მართვის წესი, ასევე გასაუბრება მოხდა პერსონალის მართვის მენეჯერთან, რის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის საათები ძალიან მცირე იყო და არ ფიქსირდებოდა ინტერესთა კონფლიქტი. ასევე, მისი თქმით, ბიბლიოთეკარის სამუშაო დატვირთვა დიდი არ იყო. გაიცა რეკომენდაცია, რადგან პერსონალის მართვის მენეჯერის მიერ შესასრულებელი იყო უამრავი სამუშაო, მათ შორის პერსონალის შეფასება, რომელიც არ იყო დოკუმენტირებული. ექსპერტის განცხადებით პერსონალის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს შეთავსებული დამფუძნებლის, ბიბლიოთეკარის და მასწავლებელის ფუნქციებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს და აღნიშნა, რომ ვინაიდან AC გარემო აღჭურვილი იყო 50 პროფესიულ სტუდენტზე, ერთ გარემოს რამდენად შეეძლო 105 სტუდენტის მიღება.

ექსპერტის განცხადებით 105 პირი იყო 2 AC გარემოში, 1 B გარემოში და 2 A გარემოში , აქედან ერთი AC იყო 20 მსმენელისთვის განკუთვნილი, ხოლო დარჩენილი 85 ადგილიდან 20, B გარემოს ეკუთვნოდა , მაშასადამე ერთდროულად, ერთ ცვლაში შესაძლებელი იყო 65 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ერთმა ფსიქიატიულმა კლინიკამ ამ რაოდენობის სტუდენტი მიიღოს.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ადმინისტრაციასთან გასაუბრების და ინტერვიუების საფუძველზე იდენტიფიცირდა ის შესაძლებლობა, რომ ეს იყო შეთანხმება დამსაქმებელთან და პრაქტიკის ობიექტთან, დამადასტურებელი ფაქტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო ის, რომ დაწესებულებას ჰქონდა ეს შეთანხმება ხელშეკრულების ფორმატში. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, მისი თქმით, ძალიან მრავალფეროვანი მიმართულებები და შესაძლებლობები ჰქონდათ, რაც პროფესიული სტუდენტების გადანაწილების შესაძლებლობას იძლეოდა.

ნინო ელბაქიძემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, პრაქტიკის ობიექტზე წასული სტუდენტების რაოდენობა იყო თუ არა შესაბამისობაში ადგილზე არსებული ეგრეთწოდებული კომპანიის ინსტრუქტორების რაოდენობასთან და თუკი ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ სად იყო შესაძლებელი მტკიცებულების ნახვა.

დარგის ექსპერტის განცხადებით, პირველი ინდიკატორი იყო, როდესაც დაწესებულებას უკვე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ჰქონდა ის მოთხოვნები, რაც ჩარჩო დოკუმენტით

იყო გათვალისწინებული, ერთი ინსტრუქტორი და შვიდი სტუდენტი. ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ფსიქიატრიის მიმართულებით ინსტრუქტორების უზრუნველყოფა ორ ცვლაში შეეძლო დაწესებულებას. მისი თქმით, თუ რამდენ სტუდენტს მიიღებს დაწესებულება დასტურდება მემორანდუმის და ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებით და ადგილზე ინტერვიურებით. ასევე აღსანიშნავია, რომ მოხდა გასაუბრება სტუდენტებთან, იმასთან დაკავშირებით იცნობდნენ თუ არა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულების თემატიკაში მიმდინარეობის გრაფიკს და სასწვალო გეგმას, იყვნენ თუ არა ინფორმირებულნი პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განხორციელების შესახებ და იცნობდნენ თუ არა უსაფრთხოების წესებს.

ნინო ელბაქიძემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, თუ რამდენად ახერხებდა პროფესიული სტუდენტი ამ ორგანიზებულ ფორმატში პრაქტიკული უნარების განვითარებას, მაშინ როდესაც სტუდენტებს არ გაუვლიათ პრაქტიკული სწავლება.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ჰქონდა გასაუბრება ქ.ქუთაისში, დასავლეთის სამედიცინო ცენტრში პრაქტიკის ხელმძღვანელთან და ინსტუქტორებთან, რომლებთან ერთადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულების ერთ-ერთი კურსდამთავრებული , რომელიც ასევე ჩართული იყო ამ კონკრეტული პრაქტიკის განხორციელების ეტაპებზე, როგორც ერთ-ერთი პასუხისმგებელი ექთანი. ქუთაისის სამედიცინო დასავლეთის ცენტრის ე.წ კლინიკაში იყო 12 კლინიკური მიმართულება და მათ შეეძლოთ ერთდროულად 85 სტუდენტის მიღება, აქედან გამომდინარე სწორედ ეს ფაქტი იძლეოდა მტკიცებულების საფუძველს.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ვინაიდან არგუმენტირებულ პოზიციებში არაფერი იყო დაფიქსირებული, საინტერესოა ეთანხმებოდა თუ არა კოლეჯი აღნიშნულ კვოტას, რომელიც 195 პროფესიული სტუდენტისგან შედგებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის, განცხადებით, ექსპერტებს ძალიან კარგად ჰქონდათ შესწავლილი ყველა მიმართულება, როგორც მატერიალური რესურსები, სანამ კოლეჯში განახორციელებდნენ ვიზიტს, რაც ასევე, ინტერვიურების დროსაც დადგინდა, შესაბამისად დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტების გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, გარდა „შინმოვლის“ მოდულისა, სხვა რომელიმე პრაქტიკულ მოდულს თუ ახორციელებდა დაწესებულება საკუთარ ბაზაზე , რასაც სჭირდებოდა შესაბამისი აღჭურვილობა.

ექსპერტის განცხადებით, „შინმოვლისა“ და „ავადმყოფის მოვლის“ მოდულების თეორიული ნაწილი სრულდებოდა კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული ნაწილს, სტუდენტები გადიან დიალიზის ცენტრში, რომელიც მდებარეობს იგივე შენობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით და აღნიშნა, რომ გაეცნო მათ მიერ გაკეთებულ დასკვნას, სადაც ხშირად მეორდებოდა საკითხი დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ანალიზი შესახებ და ანალიზის შედეგების გამოყენებაზე პროცედების გაუმჯობესებისთვის. განმავითარებელი რეკომენდაციების ნაწილში აღნიშნულია, რომ ექსპერტებმა ვერ დაინახეს დოკუმენტირებული სახით მტკიცებულება იმისა, რომ პროცესების ანალიზი მიმდინარეობს, რაც წარმოადგენს ხარისხის გაუმლპბესების ციკვის ერთერთ მნიშვნელოვან ეტაპს. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ასეთი პროცესები ხომ არ მიმდინარეობდეს ეს პროცესები რეალურად და ეს არ არის აღბეჭდილი დოკუმენტურად, და მოხდა თუ არა ექსპერტების მიერ მსგავსი შემთხვევის შესწავლა.

ექსპერტის განცხადებით, არ მომხდარა მსგავსი შედეგების ნახვა, შესაბამისად რაკი არ იყო რეკომენდაცია გაცემული, არ მოხდა ცვლილების დადასტურება. მისი თქმით, შესაძლებელი იყო ერთი მაგალითის მოყვანა, რაც გულისხმობდა პროგრამაში ცვლილების შეტანას, უშუალოდ შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი და ასევე, მოხდა მომზადება-გადამზადების პროგრამის დამატება.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, შეეძლოთ თუ არა შრომის ბაზრის კვლევის შესახებ გაეკეთებინათ კომენტარი, რამაც გამოიწვია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა და ასევე, რა იგეგმება მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის მიმართულებით იმ მოკრძალებული ბიუჯეტის ფარგლებში - 500 ლარი, რაც დაწესებულებას აქვს დაგეგმილი ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კვოტის გაზრდის საჭიროება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დაწესებულება წარმოადგენდა დამსაქმებლის გუნდს სხვადასხვა კლინიკაში, რაც თავისთავად მიუთითებდა პერსონალის ნაკლებობაზე. მისი თქმით, Jobs.Ge - ზე ყოველთვის იყო განთავსებული განცხადება, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა კვალიფიციური ექთანი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის სურვილი იყო ჩატარებულიყო კვლევა ბაზრის მოკვლევასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული არ იქნა წარმოდგენილი. რაც შეეხება ბიუჯეტს, ექსპერტის განცხადებით, 500 ლარი აღებული იყო სტრატეგიული გეგმის მაჩვენებლიდან, თუმცა კოლეჯი გაცილებით მეტ თანხას ხარჯავდა, თუმცა ამის დოკუმენტურად აღბეჭდვა არ ხდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს სურვილის შემთხვევაში დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებაში.

ნინო ველთაური: „დაწესებულებას რეკომენდაციის სახით აუცილებლად ვეტყოდი, რომ კვლევითი მიმართულებები გააფართოონ და ამ კუთხით იმუშაონ. ჩვენ ბოლო შეხვედრაზე განათლების სამინისტროსთან დადასტურდა ეს მიდგომა, რომ უნარების სააგენტო მზად არის ყველა სასწავლო დაწესებულებას მხარი დაუჭიროს და ექსპერტულ დონეზე გააძლიეროს, იმისთვის რომ დაწესებულებას შეეძლოს ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების მოკვლევა, სრულფასოვნად კვლევის ჩატარება, რათა რეალურ კვლევაზე დაფუძნებით მიიღოს იმის გადაწყვეტილება, რომელი პროფესია/ სპეციალობა დანერგოს და რომელი სასწავლო კურსი შესთავაზოს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რათა არ გვქონდეს არც სიჭარბე და არც დეფიციტი“.

ნინო ელბაქიძე: „ამ შემთხვევაში, რომ შევაჯამოთ, შრომის ბაზრის კვლევა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის. ყველაზე მთავარი არის ის რომ სტუდენტი იყოს პირველ რიგში პროცესით კმაყოფილი და ყველაზე მნიშვნელოვანი შესაბამისი კომპეტენციით ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სიოს ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად შპს „სიოს“ (ს/კ: 212797945) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს „სიოს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი 1.2, 2.2 და 5.2 კომპონენტების გადამოწმების ფარგლებში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 5 ივნისი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოს ინფორმირება.

საბჭოს მდივანი მარიამ ქუჩულორია შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თეა ლილუაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, რეავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25, 26, 27 იანვარს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 29 დეკემბრის N1675763 ბრძანების საფუძველზე. 25,26,27 იანვარს ვიზიტზე იმყოფებოდნენ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები თეა ლილუაშვილი და ნანა ხითარიშვილი, ხოლო 26 და 27 იანვარს ასევე ვიზიტზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტი გიორგი ნაჭყეპია. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის პერიოდში, ასევე, შეისწავლეს რეგულაციების შესაბამისად პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გაეცნენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსს, ჩაატარეს ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადი პროფესიულ პროგრამებზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“ წარმოდგენილი იყო როგორც მოდულური, ასევე დუალური ფორმით. ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დუალური მიდგომით განხორციელებისას პროფესიული სტუდენტების გადინება მაღალი იყო, ასევე. ამ დროისთვის მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე პროფესიული პროგრამების ხანგრძლივობის 2 წლამდე გაზრდა აღნიშნულ პროგრამებზე მოთხოვნას კიდევ უფრო შეამცირებს, ვინაიდან აპლიკანტების მოტივაცია ამ პროგრამების არჩევისას პროფესიის სწრაფად დაუფლება და შრომის ბაზარზე გასვლაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება პროფესიული პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხილულიყო მხოლოდ მოდულური მიდგომით.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება:

4.1.2.3 - დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისი დანართებით განსაზღვრული აქვს საშტატო ნუსხით განსაზღვრულ მომუშავეთა და შტატგარეშე მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი პირადი საქმეებით დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების კონსულტანტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება აღნიშნული პოზიციისთვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ხარვეზი: პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ პოზიციას თუ არ შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნას ამ პოზიციის მიმართ. ექსპერტებს სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით არ დაუფიქსირებიათ არანაირი რეკომენდაცია, რაც ნიშნავს, რომ სტრატეგიული განვითარების კონსულტანტი თავის ფუნქციები კარგად ასრულებს, მაშინ რამდენად სწორია ექსპერტების დასკვნა, რომ „პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ პოზიციას“. სხვანაირი ფორმულირება ხომ არ უნდა ჰქონდეს ამ ხარვეზს.

ექსპერტის განცხადებით, დამდგარი შედეგიდან გამომდინარე და ასევე, ამ ადამიანის უნარებისა და ცოდნიდან გამომდინარე, არ ვთვლით , რომ აღნიშნული პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ პოზიციას, მაგრამ ვინაიდან დაწესებულებას ცალსახად ჰქონდა

განსაზღვრული უმაღლესი განათლება პერსონალის მიღებასთან დაკავშირებით, დაფიქსირდა ხარვეზი.

განვითარების რეკომენდაცია:

4.2.1.1. - პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს თანამშრომლების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, დაწესებულების ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებები დგინდება და შესაბამისი გადაწყვეტილები მიიღება თანამშრომლებთან ყოველკვირეულ შეხვედრებზე.

განვითარების რეკომენდაცია: დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, სისტემატიურად შეაფასოს პერსონალი, შეფასების შესახებ მოახდინოს პერსონალის წინასწარი ინფორმირება.

5.1.1.7. - კოლეჯის მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების შესახებ გამოკითხვა მოიცავდა ზოგადი ხასიათის კითხვებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ქონდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი შენიშვნები. დაწესებულების რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარებისთვის რეკომენდებულია ზოგადი ხასიათის კითხვების ნაცვლად კითხვარში გამოიკვეთოს კითხვები, რომელიც კოლეჯს მისცემს რესურსების სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას. რეკომენდებულია სასწავლო რესურსების შეფასება მოხდეს მკაფიო ინსტრუმენტებით სასწავლო პროცესში ჩართული ყველა მხარის მიერ.პროგრამაში აღნიშნულია, რომ ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის No152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. ვინაიდან მინისტრის N152/ნ ძალადაკარგულადაა გამოცხადებული, რეკომენდებულია პროგრამაში შევიდეს ცვლილება და დაკორექტირდეს შესაბამისი ინფორმაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დაკორექტირდეს ქართული ენის მოდულების შესახებ ჩანაწერი.

2.4.2(1) -პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

განვითარების რეკომენდაცია: შეფასების სისტემას დაემატოს ინსტრუქციები სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში, როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, იგივე ინსტრუმენტით ფასდება სტუდენტი, რაც პირველ ჯერზე, თუ იცვლება, არის თუ არა განსხვავება თეორიული და პრაქტიკული ნაწილის შეფასებისას, აქვს თუ არა მნიშვნელობა, რატომ უხდება განმეორებით ჩაბარება, გააცდინა შეფასება თუ ვერ დაადასტურა (რა შემთხვევაში შეიცვლება მაგალითად ტესტი, რომელიც გამოყენებული იყო პირველი შეფასებისას).

2.4.2 (1) - ინტეგრირებული პროგრამებისთვის

განვითარების რეკომენდაცია: ინტეგრირებული მოდულების შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში მოცემულია გრაფა „შეფასება“. აღნიშნული პუნქტი სხვადასხვა მოდულის შეფასების ინსტრუმენტში განსხვავებულადაა შევსებული, ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია სწავლის შედეგი/შედეგები, რომელსაც მიემართება შეფასება, ზოგ შემთხვევაში განმსაზღვრელია თუ განმავითარებელი შეფასება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შესაფასებელი თემატიკა. ერთგვაროვანი მიდგომის დასამკვიდრებლად რეკომენდებულია აღნიშნული ჩაიშალოს პუნქტებად და გამოიკვეთოს ჩანაწერები, როგორც სწავლის შედეგების, ასევე შეფასების ტიპის (განმავითარებელი/განმსაზღვრელი) ჩასაწერად. ასევე, რეკომენდებულია არაინტეგრირებული მოდულების შეფასების ინსტრუმენტის მსგავსად აღნიშნულ ფორმაშიც გაჩნდეს გრაფა შეფასების ინსტრუმენტის შემთანხმებელი პირის/ვალიდატორის შესახებ.

ექსპერტმა ნანა ხითარიშვილმა მიმოიხილა პირველი და მესამე სტანდარტი. მისი განცხადებით,პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულება იყო მონოპროფილური და ხედვაშიც აისახებოდა. დაწესებულებას შემუშავეული აქვს რეგულაცია, თუ როგორ უნდა შეიმუშაოს მისია, ხედვა, ღირებულებები, გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მიყვება რეგულაციას, ზუსტად გადმოაქვს პრაქტიკაში ის ნაბიჯები, რაც რეგულაციაში არის გაწერილი და ამის ამსახველი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ ექსპერტებს ვიზიტის დროს. უნდა ღინიშნოს, რომ პირველი სტანდარტის შესაბამისობა დასტურდება არა მარტო რეგულაციებით, არამედ ინტერვიურებით, რომელიც განახორციელეს ექპერტებმა ადმინისტრაციის წარმომადგნლებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან. განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა და პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია. რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ასევე სრულ შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ხომ არ გამოუკვლევიათ დასაქმების მაჩვენებელი.

ექსპერტის განცხადებით, დაახლოებით პროფესიული სტუდენტების 80% იყო დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები სწავლის პერიოდშიც იყო დასაქმებული. მისი თქმით, პროგრამების განხორციელების რესურსებთან მიმართებაში დაწესებულებას ჰქონდა ძირითადად B ტიპის აუდიტორიები. ორი აუდიტორია იყო აღჭურვილი შესაბამისი ლაბორატორიით და თვალსაჩინო მასალებით, რაც მეცნიერების და ტექნოლოგიის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებას სჭირდებოდა. ასევე, დაწესებულებას ჰქონდა ფაბ-ლაბი და ერთი B ტიპის 28 სტუდენტზე გათვლილი აუდიტორია, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ პრაქტიკული პროექტისათვის სალექციო მეცადინებისთვის გარდა, დამატებით გამოეყენათ სივრცე და ემუშავათ თავიანთ პროექტებზე. B გარემო ძირითადად 14-16 სტუდენტზე იყო გათვლილი. აღნიშნული ფაბლაბი შესაძლოა განხილული იქნას , როგორც C ტიპის გარემოც. ინტეგრირებული მოდულებისთვის ორი გარემო იყო გამოყოფილი , ერთში მიმდინარეობდა კოსმეტიკური რემონტი, თუმცა აღჭურვილობა ორივე ლაბორატორიისთვის იყო იდენტური. დაწესებულას ჰქონდა ადაპტირებული გარემო თავისი პანდუსით , ადაპტორებული სველი წერტილით, ასევე, პირევლადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით. კოლეჯს ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აკრედიტებული პროგრამა ჰქონდა გავლილი, სახანძრო უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებით სააგენტოს ჰქონდა დასკვნა მომზადებული, რომელიც შეფასდა დადებითად. ვიზიტისას დაწესებულებას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესათანხმებლად ჰქონდა გაგზავნილი, ამიტომ დასკვნის პროექტში მეტწილ შესაბამიშობაში იქნა აღნიშნული, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას უკვე სრულყოფილად იქნა წარმოდგენილი.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას მატერიალური რესურსი განთავსებული ჰქონდა აუდიტორიებში, რომლის დათვალიერებაც მოხდა ვიზიტის დროს, ასევე, კოლეჯს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები, აღსანიშნავი იყო, რომ კოლეჯს საკმაოდ ბევრ ორგანიზაციასთან ჰქონდა ურთიერთობა, ექსპერტთა ჯგუფს სამ კომპანიასთან ჰქონდა გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი გამოხატავდნენ მზადყდოფნას და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ცდილობდნენ დაესაქმებინათ კურსდამთავრებულები. ექსპერტთა ჯგუფი, ასევე, გაესაუბრა განმახორციელებელ პერსონალს,რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მისი თქმით, პროგრამის ხელმძრვანელთან გასაუბრებით დასტურდებოდა, რომ მზად იყვნენ გაძღოლოდნენ საქმიანობას, ეხელმძღვანელათ შესაბამისი პროგრამებისთვის. რაც შეეხება ბიბლიოთეკის რესურსებს, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა რესურსი ხელმისაწვდომი იყო და გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის. რაც შეეხება ხარვეზს, აღნიშნა, რომ ეს იყო გაუაზრებელი, მექანიკური შეცდომა იყო მათი მხრიდან.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ ბევრი იმსჯელა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ხარვეზზე და წარმოადგინა საბჭოს წევრების შეთანხმებული პოზიცია, კერძოდ: საბჭო არ იზიარებდა 4.1 კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზის კლასიფიკაციას იმის თაობაზე, რომ სტრატეგიული განვითარების კონსულტანტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ პოზიციას, ვინაიდან ამ პიროვნების მიერ შესრულებული საქმიანობა ექსპერტების მიერ დადებითად იყო შეფასებული. პრობლემა დაწესებულების მიერ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრაში იყო. საბჭო თვლის, რომ ეს უნდა ყოფილიყო განმავითარებელი რეკომენდაცია. კერძოდ, დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილებები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც შესაბამისობაში იქნება პროფესიულ განათლებაში არსებულ მოთხოვნებთან, რომელიც გაითვალისწინებდა, როგორც პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში არა მარტო უმაღლეს განათლების არსებობას, ასევე არასრული უმაღლეს განათლებას და პროფესიულ განათლებასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიებისაკადემიას“(ს/კ: 205339944) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი.სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიებისაკადემიას“მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2)**.გადაწყვეტილებ ის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 10 მაისი.

საბჭოს წევრმა ნატალია კვაჭანტირაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯ “ფაზისისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ნოჯიხევში „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მახარაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) 2023 წლის 10 თებერვლის ბრძანების No152959 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, კოლეჯის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდა" დამატებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერები მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. კოლეჯში ვიზიტი განახორციელდა 2023 წლის 17 თებერვალს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი ქეთევან ღვანიძე. ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. შესწავლილი დოკუმენტაციისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შედგა დღის წესრიგი, რომლის საფუძველზე შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი. ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პოტენციური ობიექტის დათვალიერება, გასაუბრება შედგა ასევე პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორთან, ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. ექსპერტთა მიერ, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში საგანმანათლებლო პროგრამის

„სკოლამდელი აღზრდა “განხორციელების პირობების შესაბამისობა, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, შეფასდა დადებითად.

რეკომენდაციების შეჯამება

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.
სასურველია:

2.1.1. (1) - პსდ-მ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში სრულყოფილი ინფორმაცია/ანალიზის ასახვა - საკანონმდებლო მოთხოვნები, სტატისტიკური მონაცემები რეგიონულ ჭრილში - და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კორესპონდენციით.
2.1.1. (4) - პსდ-მ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს No416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.
2.1.1.(8) - საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს No416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა (მუხლი 3; მუხლი 4.) და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია (მუხლი 6.).
- კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11). დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამაში მუხლი/პუნქტის სათაური ასახავდეს მის შინაარსს სრულად.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.
სასურველია:

2.2.1. (1) - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თან ერთვოდეს ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა.
2.2.1. (2) - პსდ-სა და პროფესიული განათლების მასწავლებლის შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში, მითითებულ იქნას სამუშაოს შესრულების ადგილი;
- პსდ-მ უზრუნველყოს ტექნიკური უზუსტობის აღმოფხვრა და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამის დანართი განმახორციელებელი პირების შესახებ, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩანაწერთან.
2.2.1.(5) - საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო რესურსის ელექტრონული მისამართების მითითება მოდულების ჩანაწერებში.
2.2.1.(7) - შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება.
სასურველია:

2.4.1.(3) - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მიდგომებსა და სწავლების მეთოდებში სასურველია აისახოს სწავლების ის მეთოდები, ტექნოლოგიები, რასაც რეალურად განხორციელების პროცესში იყენებენ პედაგოგები.
2.4.2 (1) - შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-მ უზრუნველყოს განმეორებითი შეფასებისას განსხვავებული ინსტრუმენტის/სხვა ვარიანტის შეთავაზება; პსდ-მ უზრუნველყოს საჩივრის კოლეგიური წესით განხილვა. რედაქტირდეს ჩანაწერი შეფასების შედეგების გასაჩივრების წესში და პროფესიულ სტუდენტს მიეცეს პსდ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

ექსპერტების მიერ გაცემული ზოგადი შინაარსის რეკომენდაცია

პსდ-მ უზრუნველყოს შიდა დოკუმენტებზე (პროცედურებზე), მათ დანართებზე, მათ შორის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე, დამტკიცების რეკვიზიტების/გრიფის გაფორმება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების ვალიდურობასა და მიკვლევადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სკოლამდელი აღზრდა
ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებით საგანმანათებლო პროგრამა შესაბამსობაში იყო მე-2 სტანდარტის ყველა კრიტერიუმთან და ექსპერტთა შეფასებითაც ანალოგიური დადასტურდა. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სკოლამდელი აღზრდა“, შესაბამისია პროგრამის შინაარსის, პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების და არ არის შეცდომაში შემყვანი. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21 თვე), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 26 თვე). საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ პსდ-ს განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 15 პროფესიული სტუდენტით. პსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს განსაზღვრული ზღვრული ოდენობა (15 პროფესიული სტუდენტი). საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, პსდ-ის დირექტორის მიერ (ბრძანება #01/15, 2021 წლის 9 მარტი „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“), ხოლო ცვლილება განხორციელებულია 10.01.2023 წელს (ბრძანება ა# 01/01 „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სკოლამდელი აღზრდა“ ცვლილების შეტანის შესახებ“), ცვლილება შეეხო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის დამატებას. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების „პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“ (მუხლი 5) ,აღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

პროგრამის დამატების ინიციატივას და მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერსა და დარგის სპეციალისტებთან ერთად. გადაწყვეტილებას, პროგრამის დამატებისა და განხორციელების მიდგომის შესახებ, ღებულობს კოლეჯის დირექტორი, რაც, ასევე, უნდა ეფუძნებოდეს კოლეჯის მისიასა და სამოქმედო გეგმებს. დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის მიერ გამოცემული აქტით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კომპლექტდება შესაბამისი დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და სპეციალისტების, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით განსახილველად გადაეცემა ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც, დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების დირექტორს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, უფრო დაწვრილებით ესაუბრა პროგრამის მიზანშეწონილობაზე.

ექსპერტის განცხადებით, მიზანშეწონილობის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ ფაქტობრივად იყო კორესპონდენციები როგორც ფოთის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტში. ეს წერილი უშუალოდ იყო მიმართული მუნიციპალიტეტთან, რომელთა ზედამხედველობის ქვეშ შედიოდა სკოლამდელი აღზრდის პროგრამა, რაზეც მუნიციპალიტეტს უნდა მიეღო გადაყვეტილება. რაც შეეხება ფოთს, სკოლამდელი აღზრდის პროგრამზე, ინტერვიურების დროს გამოიკვეთა გარკვეული სტატისტიკური მონაცემები, რაც გულისხმობდა რეფორმების გატარებას და ახალი სტანდარტების დანერგვას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ის ფოტომასალები, რომლებიც განთავსებული იყო დაწესებულების სოციალურ ვებ-გვერდზე, სადაც აღბეჭდილი იყო, თუ როგორ მიმდინარეობდა შეხვედრები მუნიციპალიტეტებთან. მისი თქმით, დარგის მხრიდან გაკეთდა რეკომენდაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯს უფრო სრულყოფილად ჰქონოდა დოკუმენტაცია თუნდაც რეგიონულ ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ზოგადი საუბრებიდან და წარმოდგენილი არგუმენტებიდან კორესპონდენციასთან დაკავშირებით, დაადასტურდა სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა, სასურველი იყო ხობის მუნიციპალიტეტისთვის წარმოედგინათ სტატისტიკური მონაცემები უფრო დაწვრილებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რამდენი იყო ქ. ფოთის ლოკაციაზე სტუდენტების სრული რაოდენობა, ასევე, უზრუნველყოფდა თუ არა ფოთის ლოკაციაზე არსებული დაწესებულება ყველა მოთხოვნებს.

ექსპერტის განცხადებით, ქ.ფოთის ლოკაციაზე დაწესებულებას ჰყავდა 20 სტუდენტი. ექსპერტები შეხვდნენ სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს, რომლის უშუალო დაქვემდებარებაში იყო ეს მიმართულება. პროგრამის საჭიროება დაადასტურა როგორც სპეციალისტებმა, ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმაც. მისი თქმით, ქალაქში კადრების დეფიციტი იყო, კოლეჯის პრიორიტეტი იყო ნოჯიხევის დაწესებულების დატვირთვა და ამ ეტაპისთვის ნოჯიხევი 9 პროგრამას ახორციელებდა.

ექსპერტის განცხადებით, მემორანდუმის თანახმად, პსდ-ს ხელმძღვანელი პრაქტიკის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წერილობით აცნობებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას

პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო პრაქტიკის განმახორციელებელი, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, გამოყოფს კონკრეტულ საბავშვო ბაგა–ბაღს/ბაღებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაეუფლონ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლებში განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.კოლეჯი ვალდებულებას იღებს ასევე, წარუდგინოს აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტს მოდულების პრაქტიკული ნაწილის შედეგების დადასტურების გრაფიკი და კოლეჯის მხრიდან გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, დაეზუსტებინა რომელი სწავლის შედეგებზე იყო საუბარი.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული დაკონკრეტებული არ იყო და შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას ეწარმოებინა ნუსხა იმის შესახებ, თუ რომელი მოდულებიდან გავიდოდა შედეგები. თუ დაწესებულებას არ ექნებოდა აღნიშნული დანართი, მაშინ უნდა ეწარმოებინა შესაბამისი ჩანაწერები, სადაც აღწერილი იქნებოდა მოდულები, რათა გასაგები ყოფილიყო, თუ როგორ ხდებოდა თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ვინაიდან ექსპერტებს უშუალოდ ექნებოდათ შეხება პროგრამის ხელმძღვანელთან, კონკრეტულად რომელი მოდულების გატანას აპირებდა დაწესებულება.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამაში იყო ორი პრაქტიკული მოდული, რომლბსაც ეხებოდა პრაქტიკული კომპონენტის გავლა, როგორიცაა გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი, სწორედ ამ მიმართულებით იყო ხობის მუნიციპალიტეტში მემორანდუმი გაფორმებული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ კონკრეტულად შეადგინოს დანართი ან ხელშეკრულება, სადაც აღბეჭდილი იქნება კონკრეტულად რომელი შედეგების დადასტურებაზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წამომადგენლი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტის მშვიდ გარემოში ჩატარებისთვის და აღნიშნა, რომ მათთვის სავსებით მისაღები იყო გაცემული რეკომენდაციები, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები და მათ უკვე ასახეს აღნიშნული დოკუმენტებში. მისი თქმით, კოლეჯში კვლავ გრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ “ფაზისისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ნოჯიხევში „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ "ფაზისს" (ს/კ:215101716) ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ნოჯიხევში მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ბათუმში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქ. ბათუმში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ხაჩიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 28 დეკემბერს წარდგენილ იქნა განაცხადი ქ. ბათუმში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ცენტრში რეგისტრაციის N1667626), რის საფუძველზეც ცენტრის მიერ 2023 წლის 20 იანვარს გამოიცა ბრძანება N 53386 ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და უნივერსიტეტში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 თებერვალს (ქ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩა N15). დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; პროგრამის ხელმძღვანელებთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება. შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია და მარეგულირებელი აქტები.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. პროგრამის შემუშავების ეტაპზე აღმოჩენილი დარღვევის გამო, შეფასების ეტაპზე ასევე, გამოიკვეთა 4.1.1 სტანდარტის მე-3 ინდიკატორის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობა. კერძოდ, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს. ის აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში, რომელმაც ასევე უზრუნველყო შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასება. აღნიშნული დასტურდება როგორც ადმინისტრაციის, ასევე სამუშაო ჯგუფის წევრების ინტერვიუირებით და სამუშაო ჯგუფის ოქმებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რაც იწვევს ავტორიზაციის 4.1.1. სტანდარტის მე-3 ინდიკატორის „პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს“ დარღვევას. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და არსებული პროცესები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.1.1.1. - უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილია აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს. ასევე, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების ინტერვიუირებით დასტურდება, რომ ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, ის აქტიურად იყო ჩართული პროცესში და ასევე ახდენდა შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამის შემუშავების ეტაპზე იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. ამ პირობებში მეოთხე სტანდარტთან ერთად, მეორე სტანდარტის 2.1.1.1. ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.2.1.1. - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში შეფასდა გაფორმებული მემორანდუმები, რადგან ისინი გაფორმებულია დადგენილების ამოქმედების შემდეგ. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მთავრობის დადგენილებითვე გაწერილი მინიმუმ 3 კრიტერიუმი და ჰქონდეს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესი. აღნიშნული კრიტერიუმები და მტკიცებულების ფორმები დაწესებულებას წესის სახით უნდა ჰქონდეს გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ არ აქვთ წესი, რომლითაც მოხდებოდა პრაქტიკის ობიექტების შეფასება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/35 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები და განისაზღვრა 2 თვიანი ვადა წესის შესამუშავებლად. შესაბამისად, სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესის შემუშავება.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

2.4.1.5. - პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით ირკვევა, რომ შუალედური შეფასების კომისიაში შედიან პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები ან/და სხვა პირები. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად, ასევე, შედიან პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები. შესაბამისად, სასურველია გაფორმებულ მემორანდუმებში პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან ერთად, დამატებით გაიწეროს შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა.

2.4.2.1. - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, თუ მას სრულად ათვისებული ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. დაწესებულებას რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ შუალედური შეფასება სავალდებულოა და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. შესაბამისად, სასურველია ამ წესის შესაბამისად, შუალედურ შეფასებაში პროფესიული სტუდენტის სავალდებულო მონაწილეობა აისახოს სასწავლო
პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება, რა ვადებში ხდება ხელახალი შეფასების დანიშვნა, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო კომისია, პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემდეგ. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით, ისე რომ დაცული იყოს წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალი, ან შესაძლოა ამ შემთხვევაში დაწესებულებამ სხვაგვარად დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევები, რაც განსაზღვრული უნდა ჰქონდეს შიდა რეგულაციით.

2.4.2.3. - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის. აღნიშნული რეგულაციისგან განსხვავებით, საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/მონაცემები/მტკიცებულებები ინახება სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა და შესაბამისობაში მოვიდეს როგორც საქმეთა ნაერთ ნომენკლატურასთან, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ხარვეზი, რომელიც ფიქსირდებოდა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ბმაში არ იყო. შესაძლებელი იყო, რომ აღნიშნული მეოთხე სტანდარტს ეხებოდეს და არა მეორეს. აღნიშნული კომპონენტი რვა ინდიკატორს მოიცავს და ფაქტიურად ექსპერტების მიერ დასკვნის მიხედვით ყველა დაკმაყოფილებულია, ერთადერთ კომპონენტში, სადაც განსხვავებული აზრი დაფიქსირდა, იყო ის, თუ ვინ ხელმძღვანელობდა პროგრამის შემუშავებას, ამ შემთხვევაში საუბარი იყო ხარისხის მართვის მენეჯერზე, რომლის ჩართულობა რასაკვირველია უნდო ყოფილიიყო, ვინაიდან ხარისხის მენეჯერი ახდენდა ყველა პროცესების შეფასებას.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული ჰქონდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია იყო პირველადი შეფასება, როდესაც პროექტი შემუშავდებოდა, ხდებოდა მის მიერ პირველადი დასკვნის დადება და ამის საფუძველზე

პროექტის საბოლოო სახით წარდგენა. მისი თქმით, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ამ პროცესებს წარმართავდა და შესაბამისად არსებული პროცესი და რეგულაცია ერთის მხრივ აცდენილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, სწორად იყო თუ არა ხარისხის მართვის მენეჯერის და სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი, ხომ არ იკვეთებოდა აღწერილობაში ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას სწორად ჰქონდა ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ ვინაიდან პირველი კომპონენტი იყო დაგეგმვა და ხარისხის მენეჯერი მონაწილეობდა ჯგუფის ხელმძღვანელობაში, სწორად იყო თუ არა აღნიშნული დაგეგმვა განხორციელებული და ხომ არ ჰქონდათ ექსპერტებს ამ მხრივ შენიშნვა.

ექსპერტის განცხადებით, უშუალოდ დასკვნაში სხვა ბევრი შეუსაბამობებიც გამოვლინდა, რომელზეც ინფორმაცია დაწესებულებას ვიზიტის დასაწყისშივე მიეწოდა და ადგილზევე იქნა გამოსწორებული. აღნიშნული შეუსაბამობა გულისხმობდა სასწავლო გეგმაში დაშვების წინაპირობის არ არსებობას.
შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პირველი პროგრამის შემთხვევაში ერთი ხარვეზი გამოწვეული იყო იმით, რომ ხარისხის მენეჯერი იღებდა მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში, რამაც გამოიწვია ინტერესთა კონფლიქტი, რაც შეეხება მეორე ხარვეზს, გამოწვეული იყო იმით, რომ მასწავლებლების საათების რაოდენობა აღემატებოდა 40 საათს, თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ პროცესი ჯერ- ჯერობით არ ხორციელდება და უარყოფითი ზეგავლენა არ მიუყენებია სასწავლო პროცესისთვის. შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა მთავრობის დადგენილებით დასახულ პრაქტიკას ობიექტთან დაკავშირებით, შეფასების რეგულაციას, პრაქტიკის ობიექტები უნდა იყოს შეფასებული რეგულაციით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
2.1.1.1. - უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილია საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ხარისხის მართვის მენეჯერს. ასევე, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების ინტერვიუირებით დასტურდება, რომ ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, ის აქტიურად იყო ჩართული პროცესში და ასევე ახდენდა შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ უნდა ახდენდეს მის მიერვე აქტიური ჩართულობით შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, რადგან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამის შემუშავების ეტაპზე იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. ამ პირობებში მეოთხე სტანდარტთან ერთად, მეორე სტანდარტის 2.1. კომპონენტი ფასდება, როგორც „არ შეესაბამება“.

2.2.1.2. - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შეფასებით გამოიკვეთა, რომ 2 პროფესიული განათლების

მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორის კვირეული დატვირთვა აღემატება 40 საათს. შესაბამისად, მასწავლებელთა დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/36 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში, შესაბამისი ცვლილებები არ შეხებია განხორციელებელი პირების დატვირთვას და პროგრამის მდგრადობას. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.2.1. - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, შეფასდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები, რადგან ისინი გაფორმებულია დადგენილების ამოქმედების შემდეგ. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მთავრობის დადგენილებითვე გაწერილი მინიმუმ 3 კრიტერიუმი და ჰქონდეს შეფასების მტკიცებულებები. აღნიშნული კრიტერიუმები და მტკიცებულების ფორმები დაწესებულებას წესის სახით უნდა ჰქონდეს გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ არ აქვთ წესი, რომლითაც მოხდებოდა პრაქტიკის ობიექტების შეფასება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/35 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები და განისაზღვრა 2 თვიანი ვადა წესის შესამუშავებლად. შესაბამისად, სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გასაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესის შემუშავება.

განმავითარებელი რეკომენდაცია

2.2.2.1. - დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 1 მასწავლებლის ხელშეკრულება, რომლითაც ის იღებს ვალდებულებას განახორციელოს მიკრობიოლოგიის მოდული, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის დანართში აღნიშნული პირი გაწერილი არაა. ინტერვიუირებით გაირკვა, რომ აღნიშნული პირი არ იქნება ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ პირთან არ იყოს მოქმედი პირობითი შრომითი ხელშეკრულება.

2.4.1.5. - პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესით ირკვევა, რომ შუალედური შეფასების კომისიაში შედიან პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები ან/და სხვა პირები. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად ასევე შედიან პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები. შესაბამისად, სასურველია გაფორმებულ მემორანდუმებში პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან ერთად, დამატებით გაიწეროს შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის პროცესში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა.

2.4.2.1. - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება პროფესიული

სტუდენტი, თუ მას სრულად ათვისებული ან აღიარებული აქვს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. დაწესებულებას რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ შუალედური შეფასება სავალდებულია და წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. შესაბამისად, სასურველია ამ წესის შესაბამისად, შუალედურ შეფასებაში პროფესიული სტუდენტის სავალდებულო მონაწილეობა აისახოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით არ იკვეთება, რა ვადებში ხდება ხელახალი შეფასების დანიშვნა, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს სააპელაციო კომისია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემდეგ. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს რეგულაციით, ისე რომ დაცული იყოს წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის ინტერვალი, ან შესაძლოა ამ შემთხვევაში დაწესებულებამ სხვაგვარად დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევები, რაც დარეგულირებული უნდა იყოს რეგულაციით.

2.4.2.3. - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის. აღნიშნული რეგულაციისგან განსხვავებით, საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/მონაცემები/მტკიცებულებები ინახება სტუდენტისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გასწორდეს ტექნიკური შეუსაბამობა და შესაბამისობაში მოვიდეს როგორც საქმეთა ნაერთ ნომენკლატურასთან, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას წესში ეწერა, რომ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წამრმოადგენდა შეფასების მტკიცებულებას, ხოლო ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით შეფასების მტკიცებულებები უნდა ინახებოდეს სამი წლის ვადით, აქედან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოსულიყო აღნიშნული ჩანაწერები. რაც შეეხებოდა უშუალოდ 40 საათიან დატვირთვას, პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირდებით, კვირეული დატვირთვის გადაჭარბებაზე ექსპერტების მხრიდან საუბარი არ იყო არც ვიზიტის ფარგლებში და არც დასკვნაში. მისი თქმით, ზოგიერთი მოდულის ფარგლებში ორზე მეტი განმახორციელებლი იყო განსაზღვრული, თუმცა კლინიკური მოდულების შემთვევაში ხდებოდა ჯგუფების დაყოფა, ყოველწლიურად კოლეჯი აპირებდა, რომ მიეღო 14 – 14 პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად ის, რომ ერთ ან ორ მოდულს მინიმუმ ორი პედაგოგი ახორციელებდა ეს განაპირობებდა პროგრამის მდგრადობას, როგორც ეს ჰქონდა დაწესებულებას რეგულაციით გაწერილი, აღნიშნული იყო არასწორი, ვინაიდან კლინიკური მოდულების დროს რაოდენობა ორმაგდება და უფრო მეტი ხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ორივე პროგრამის ფარგლებში გაეკეთებინათ თავიანთი კომენტარი ხარვეზებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ვიზიტის პროცესში კოლეჯი თანამშორმლობდა ექსპერტებთან, მათი რეკომენდაციით იქვე აღმოიფხვრა ტექნიკური ხარვეზი, გასწორდა უზუსტობები და ყველა ის შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო ექპერტების მიერ, უკვე შესრულებულია. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტისა და მასწავლებლის საათობრივ დატვირთვის შესახებ ხარვეზებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ შემთხვევაში ეს მათი ხარვეზი იყო, ვინადიან ტექნიკურად ვერ შეძლო დაენახებინა ექსპერტებისთვის ის პროცესები, რა პროცესებშიც შემუშავდა პროგრამა. მისი თქმით, რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ერთი პროგრამა საექთნო განათლება შეიქმნა 2021 წლის ოქტომბერში, ხოლო აღმზრდელის პროგრამაზე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2021 წლის ივნისში. აღნიშნულ ბრძანებაში ხარისხის მართვის მენეჯერი ნამდვილად იყო ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც საექთნო განათლების შემთხვევაში პირველ სამ სხდომას და აღმზრდელის შემთხვევაში პირველ ორ სხდომას ხელმძღვანელობდა. 2022 წლიდან ხარისხის მართვის მენეჯერი გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან, რომლის თაობაზეც რექტორის ბრძანებაში ცვლილება არ შეუტანია დაწესებულებას და არ მომხდარა ახალი ხარისხის მენეჯერის ამ ბრძანებაში შეყვანა. აღნიშნული ცვლილების შემდგენ ოქმში გამოიკვეთა, რომ საექთნო განათლების სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია დაევალა პროგრამის ხელმძღვანელს და ანალოგიურად მოხდა აღმზრდელის შემთხვევაშიც. ახალი ხარისხის მენეჯერის არსებობა ოქმში იყო აღბეჭდილი. ხარისხის მენეჯერი კონსულტირებას უწევდა ჯგუფს, რაც ოქმში იყო ასახული. ძირითადი სამუშაო გააკეთა ორივე ჯგუფმა, ახალი მენეჯერი მონიტორინგს უწევდა სამი პროგრამის სრულყოფას.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა იყო თუ არა ეს ოქმებით დადასტურებული. როგორც ჩანს რეალური სიტუაცია იყო ასეთი, რომ ხარისხის მენეჯერი არ ხელმძღვანელობდა ამ პროგრამების ჯგუფს, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე ხარვეზთან დაკავშირებით, რაც მოიცავს საათების გადაჭარბებას, გააკეთა განაცხადი და აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექპერტებს გამომდინარე იქედან, რომ სასწავლო გეგმაში 40 საათს სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ სცდებოდა. რაც შეეხა პედაგოგებს, პირევლი, მეორე და მესამე მიღებასთან, სამივე ჯგუფთან თუ სამ სხვადასხვა მიღებას ახორციელებდა ორი მასწავლებლი, შესაძლებელია მისი დატვირთვა აღემატებოდეს 40 საათს, მაგრამ დაწესებულებას ჰქონდა ამის დამცავი მექანიზმი, მარეგულირებელი დოკუმენტი. მისი განცხადებით, დოკუმენტში ხაზგასმით წერია, რომ მოდულის განმახორციელებელი უნდა იყოს მინიმუმ ორი პირი და აღნიშნულ შემთვევაში თითოეულ მოდულს 2-5-მდე განმახორციელებლი ჰყავდა. რაც შეეხება საათობრივ დატვირთვას, ამ ეტაპზე მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა დაწესებულებას გაწერილი არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა, პერსონალთან გაფორმებული იყო პირობითი ხელშეკრულებები. საუნივერსიტეტო რეგულაციით ანაზღაურების გაცემის წესში აღნიშნულია, რომ როცა მოხდებოდა ჯგუფის ჩარიცხვა, ამის შემდეგ გააფორმებდა კოლეჯი მასწავლებელთან დატვირთვის შესახებ შეთანხმებას, სადაც გაწერილი იქნებოდა თუ რამდენ საათს განახორციელებდა მასწავლებელი.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით, საბჭომ მოისმინა დაინტერესებული მხარეების პოზიციები, შეისწავლა, გააანალიზა თითოეული ხარვეზი და მივიდა შემდეგ შეჯერებულ პოზიციამდე. 2.1 კომპონენტში დაფიქსირებული ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას თავის რეგულაციებში სწორად აქვს განსაზღვრული ხარისხის მენეჯების ფუნქცია მოვალეობები და ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი არ არის. თუმცა რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად ხარისხის მენეჯერის დანიშვნა, რომელსაც ევალება ამ პროცესების მონიტორინგი და შეფასება, რასაკვირველია, ფორმალურად ინტერესთა კონფლიქტის ნიშნებს ატარებს. განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ თუ საწყის ეტაპზე აღინიშნებოდა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნები, საბოლოო ჯამში ინტერესთა კონფლიქტი არ განვითარებულა, რადგან ხარისხის მენეჯერი რექტორის ბრძანებით ფაქტიურად დაგეგმვის პროცესის დასაწყისშივე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაგეგმვის პროცესს უძღვებოდა პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დაფიქსირებულია შესაბამის სხდომის ოქმებში. ახლად დანიშნული ხარისხის მენეჯერი პროგრამების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობდა თავისი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, კერძოდ, განახორციელა დაგეგმვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. გამომდინარე აქედან, საბჭოს მიერ ექსპერტების მიერ 2.1 კომპონენტთან დაფიქსირებული ხარვეზი არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტი რეალურად არ ფიქსირდება.

რაც შეეხება 2.2 კომპონენტთან დაფიქსირებულ ხარვეზს, რომელიც ეხებოდა 40 საათზე მეტ დატვირთვას. ექსპერტების და დაწესებულების მიერ დიამეტრიულად განსხვავებული პოზიციები იყო დაფიქსირებული. საბჭომ, ამ შემთხვევაში გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და არგუმენტები. ამასთან საბჭომ გაითვალისწინა, რომ დადებულია წინარე ხელშეკრულებები, პროგრამა ჯერ არ ხორციელდება და 40 საათის გადაჭარბების შედეგი არ დამდგარა. ეს რომ ყოფილიყო რეავტორიზაცია, სადაც პიროვნებას უფიქსირდება 40 საათზე გადამეტება, მაშინ გადაწყვეტილება სხვანაირი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ხარვეზს საბჭო ვერ გაიზიარებს და უბრალოდ რეკომენდაციას მიეცემა დაწესებულებას გაითვალისწინოს და მიყვეს თავის რეგულაციებს, სადაც უწერია, რომ 40 საათზე მეტი არ უნდა იყოს დატვირთვა.
რაც შეეხება შესაბამისობის რეკომენდაციას, რომელიც ახალი დადგენილებას მიხედვით ავალდებულებს დაწესებულებას, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში შეიმუშაოს პრაქტიკის ობიექტების შეფასების კრიტერიუმები, ამ შემთხვევაში საბჭო იზიარებს ექსპერტების პოზიციას.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, შეფასდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები, რადგან ისინი გაფორმებულია დადგენილების ამოქმედების შემდეგ. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, დაწესებულებამ პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოს მთავრობის დადგენილებითვე გაწერილი მინიმუმ 3 კრიტერიუმი და ჰქონდეს შეფასების მტკიცებულებები. აღნიშნული კრიტერიუმები და მტკიცებულების ფორმები დაწესებულებას წესის სახით უნდა ჰქონდეს გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ არ აქვთ წესი, რომლითაც მოხდებოდა პრაქტიკის ობიექტების შეფასება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 14 თებერვლის N01-02/35 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმები და განისაზღვრა 2

თვიანი ვადა წესის შესამუშავებლად. შესაბამისად, სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გასაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესის შემუშავება.
აღნიშნული იქნება მონიტორინგის ჩანიშნვის საფუძველი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელისა“ და „საექთნო განათლების“ ფარგლებში. მონიტორინგი განხორციელდება 2.2. კომპონენტის ფარგლებში, დოკუმენტების ცენტრისათვის მოწოდების ფორმით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს(ს/კ:245428158) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადა წყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 31 მარტი.
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ 2.2. კომპონენტის ფარგლებში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 24 ივლისი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვნა და საბჭოს ინფორმირება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს(ს/კ:245428158) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 31 მარტი.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ 2.2. კომპონენტის ფარგლებში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 24 ივლისი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დაწესებულებიდან დოკუმენტების გამოთხოვნა და საბჭოს ინფორმირება.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 19:15 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ.72დ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	195
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	84
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	155

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	84
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	112
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	224
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	84
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	42
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210